

პროფესორი ვახტანგ კახიძის, პედაგოგი

საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 თებერვალი, შაბათი, 1989 წ. № 207 (10 126) ღირსი 3 კპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

მხარს გუგურობა პროფესორი სტუდენტური ასოციაციის შეხვედრის იდეას

გაგვიანდით რა გავით „ლელო-ში“ გამოქვეყნებულ ცნობას უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების საკავშირო ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარების შესახებ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ერთგვარი სტუდენტური ასოციაცია, რომელიც გააერთიანებს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ კლუბებს, კოორდინაციას გაუწევს მათ საკმარისად, ხელს შეუწყობს სტუდენტური სპორტის

რეაქციისა: როგორ გვახსენებთ ამ იდეის განხორციელებას? ხომ არ მიგვაჩნიათ, რომ სწორედ ეს გვახსენებდა სტუდენტური ფი-

შემდგომ აღორძინებასა და უშუალო კონტაქტების დამყარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტურ სპორტულ ორგანიზაციებთან.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების თავმჯდომარეები: პ. აბაშაძე, თ. ჯანაძე, თ. ხანიაშვილი, პ. მაისურაძე, მ. ცოცხლაშვილი, პ. პაპაშვილი.

სტუდენტური და სპორტული მოძრაობის აღორძინებაში გთხოვთ, გავიზიაროთ თქვენი მოსაზრებანი.

უპირატესი არმიელი

აქ დღევანდელ კვირას ჩატარდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი სამხრეთში. 90 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო საქართველოს გუნდის წარმომადგენელი, ქვეყნის ნაკრების წევრი, მამუკა წინამძღვრის შვილი.

პ. გაბაშვილი.

ზურაბ სტურა — პარიზიორთა შორის

ბერლინის საერთაშორისო ტურნირი „გერ-40“-ში 1: შესაძლებელია 9 ქულით გაიმარჯვა აღმავალმა დიდოსტატმა ევგენი ვლადიმეროვმა, რომელსაც ნახევარ-ნა-

გუშინ თბილისში კალათბურთულთა საკავშირო ჩემპიონატის მოგზაურმა თბილისის „დინამომ“ დაამარცხა დონეცის „შახტარი“ — 69:68 (42:38).

სპორტსმენთა კავშირი...

ჩატარდა არა?

არის იდეა

წინადადება შემოგვქვს შეიქმნას საბჭოთა სპორტსმენთა კავშირი. ჩვენის აზრით, ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაცია. იგი გააერთიანებს იმ სპორტსმენებს, რომლებიც ან ახლა არიან, ან სხვა დროს ირიცხებოდნენ სსრ კავშირის ნაკრებში ან გამოდიოდნენ საკლუბო გუნდებში.

ამ ორგანიზაციის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს კავშირის თითოეულ წევრს, უფრო მეტი დანახვა სპორტის ვეტერანები აქტიურ ცხოვრებაში, პირველ ყოვლისა ახალგაზრდობასთან მუშაობაში, აგრეთვე ყველაფერი გააკეთოს, რათა გაუმჯობესოს ცხოვრება იმათ, ვინც დიდი ხნის განმავლობაში თავის ძალასა და ჯანმრთელობას ახმარდა და ახმარს სპორტს მაღალი მიღწევებისათვის.

ჩვენს თანამოაზრეებს ვთხოვთ მხარი დაუჭირონ ამ წინადადებას.

სპორტის დამსახურებული ოსტატები, ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიო ჩემპიონები: ბ. აბაშაძე, პ. პაპაშვილი, პ. მაისურაძე, მ. ცოცხლაშვილი, პ. პაპაშვილი, თ. ჯანაძე, თ. ხანიაშვილი, პ. მაისურაძე, მ. ცოცხლაშვილი, პ. პაპაშვილი.

„სოვეტსკი სპორტი“ 26 თებერვალი.


მინაწერი. სხვათა შორის, მგავსი წინადადება წამოაყენა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის ხუთჯერ ჩემპიონმა, პელონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა და ევროპის ჩემპიონმა კალათბურთში ნოდარ ჯორჯიძემ, რომელმაც სეო-ის დამფუძნებელ კონფერენციაზე გამოთქვა აზრი, რომ შეიქმნას ქართველ სპორტსმენთა კავშირი, რაც, ფიქრობთ, სათანადო ყურადღებასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

კვლავ გამოვიდა

გოლი კი

ნახევარი წელია არ გამოშვებულა საფარიკაო ბილიარდის სეზონის ოლიმპიადის ჩემპიონი გიორგი აფციაური. ამ შესვენების შემდეგ კვლავ სცადა ძალა საკავშირო თასის გათამაშებაში და წარმატებასაც მიაღწია...

ტაშვენტი თავი მოიყარა შიშში...



სურათი: გ. აფციაური.

შეიტანე თუ არა გოლიკვანძუ პარტიში?

მოსკოვის სასტუმრო „კოსმო-სის“ კონგრესების დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე მსოფლიო კონფერენცია, რომელშიც 31 ქვეყნის 181 დელეგატი მონაწილეობდა.

კონფერენციამ თავის ბოლო სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის. მათ შორის უმაღლესი ეხება საერთაშორისო ოლიმპიურ კარტაში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შეტანას. ეს კი იმის ნიშნავს, რომ ანტისაღმართო ბრძოლის განხორციელება მთლიანად ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს დაევალებათ. ოლიმპიადებზე დაშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც დოპინგსაწინააღმდეგო შემოწმებაში გაივლიან როგორც უშუალოდ შეჯიბრებების, ისე საწვრთნელი მეცადინეობების დროს.

ამავე დროს, ოლიმპიურ დისციპლინებში დამტკიცდება სპორტის ის სახეობები, რომელთა საერთაშორისო ფედერაციები გაიზიარებენ ანტიდოპინგურ ღონისძიებებს.

გადაწყდა ანალიზური კონფერენციის ჩატარება 1991 წელს ნორვეგიაში. მანამდე კი მიმდინარე საქმიანობას გაუძღვება საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი ასეთი შემადგენლობით: ალექსანდრე მეროლი (სოკი) და დიდი მაქსიკი (კანადა) — თანამშრომლობის რეგულირების (აშშ), მანფრედ დონიკი (სოკი-ის სამედიცინო კომისია), რობერტ დიუგალი (სოკი-ის სამედიცინო კომისია), არტურ გოულსი (ევროპის სპორტული კონფერენცია), ვასილი გრომიკო (სსრკ), გიუნტერ პაინცე (გერმ.), ოლე სორენსენი (კანადა), პანს სკასტერი (ნორვეგია).

გორჯ უოკერი (ევროპის საბჭო). მიდიანი — ჯონ სკოტი (კანადა).

ორი ტურნირის ნადავლი


ამას წინათ ოდესაში ჩატარდა სსრ კავშირის მოჭადრაკე კავთა 5-ე ჩემპიონატი, რომელშიც მრავალი წლის „შესვენების“ შემდეგ მონაწილეობა მიიღო ჩვენმა თანამემამულემ, ესაა თბილისელი ოსტატი ვაგა გიორგაძე. შეჯიბრებიდან დაბრუნებულიდან ვახუშტის გ. გიორგაძეს.



პირველი ლიგის ტურნირიდან უმაღლესი ლიგაში თამაშის უფლება რომ მოგვბოძო, ქვემოთხსენებულმა მაშინვე დაიწყო მუშაობა ჩემპიონატისთვის, — თქვა გ. გიორგაძემ, — საბოლოო შედეგები კი ბოროტად მიქონდა, სადაც ჩემს მწვერულთან, საქართველოს დამსახურებულ მწვერულელ ალექსანდრე ბოკუჩავასთან ერთად ცნობილი საბჭოთა სპეციალისტი მარკ ცეიტლინიც მესმარებოდა. X-XII ადგილებს მიგვამდგენენ, თუმცა წინასწარ არასოდეს ვფიქრობდით, რა შედეგი უნდა გავჩვენო — ცუდად მაქვს დაცდილი, საკავშირო ჩემპიონატი უმაღლესი სკოლაა და მინდოდა მაქსიმალურად გამოემყენებინა შანსი, გამოემყენა ახალი იდეები, ყოველ პარტიას უდიდესი დაძაბვით ვთამაშობდი. ვიმეორებ, ჩემთვის მთავარი შედეგი არ ყოფილა, მთავარი იყო კარგად თამაში.

და არც თუ ცუდად დაიწყეთ. — დიას, თავიდან ორმოცდაათი პროცენტით შედეგი მქონდა. ასეთ ტურნირში დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ მოგებას, იმიტომ, რომ თუ ერთ პარტის მეორეც მიჰყავს, მორჩება... ამიტომაც, ამ ეტაპზე ძალზე საყურადღებო იყო მეხუთე ტურში დოპინგის გამოგონება, თანაც წინა ტურში ტუპიკოვთან განცდილი მარცხის შემდეგ.

მერე კი ხანგრძლივი „ჩავა-რდნა“ დაიწყო... — თუმცა სტარტი ცუდად არ ამიღია, თავიდან მაინც დავითარსე.



ვაგა გიორგაძე

პოვე და საინტერესო გართულებები წარმოიშვა, მაგრამ პარტია მაინც ყაიშით დამთავრდა. მომდევნო პარტია ერთ-ერთი ლიდერთან, გელფანდთან მიქონდა. შავი ფერით ვით ვთამაშობდი. ბუნებრივად, პოზიციების გასაბუცებლად მას აუცილებლად მოგება სჭირდებოდა და დეტიურის შემდეგ მირე უპირატესობაც მიიღო, რაც თითქმის ბოლომდე შეინარჩუნა, მაგრამ ენდ-შეიღო მისი შედეგი. შედეგად ჩემთვის გათავაზებულია და დაგზავნილი. სოკოლოვისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ჩემთან გამარჯვება, იგი ამ ჩემპიონატში უკანასკნელად თამაშობდა თეთრი ფერით.

მომდევნო ტურში ფიგურები და მოგების შემთხვევაში საპირისპირო ადგილებზე გასვლის შანსს იღებდა. თავიდანვე დაძაბული ბრძოლა წარმოადგინა და მხოლოდ თამაშის მეხუთე საათზე შევძელი გარდატეხის შეტანა — პარტია ჩემი უპირატესობით გადაიდო. დადგა გადადებული შეხვედრების დამთ-

ვრების დღეც. დღიორის იოლად ვძლიე, სოკოლოვთან კი ლაზიერების ენდშილში ზედმეტი პაიკი მიქონდა, მერე მეორე პაიკიც მოგუგე და მეტოქე მხოლოდ მაშინ დამხედა, როცა გამოუვლი მდგომარეობა შეექმნა — ერთ სვლაში შამათი ჰქონდა. ბოლო ტურში ასევე დავუხვადი.

შემოთ თქვით, რომ თქვენთან მოგების შემთხვევაში სოკოლოვს საპირისპირო ადგილებზე გასვლის შანსი ექნებოდა. არადა, საბოლოოდ თქვენ თანაბარი რაოდენობის ქულები მოგარგვეთ... და საერთოდ, პირველ და ბოლო ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს ერთმანეთისგან სამად-სამი ქულა აშორებდა...

მართლაც მეტად თანაბარი შემადგენლობა იყო, არც გამოკვეთილი ლიდერი იხსნა, არც აშკარა აუტსაიდერი. თითქმის ვერც ერთი პარტის წინ ვერ იყნასწარმეტყველებდი ამ შეხვედრის შედეგს.

შევეხებით თამაშისთვის კი აიღეთ პარიზი, მაგრამ თეთრი ფერით ვერც ერთი პარტია ვერ მოგვით...

არადა, შეკრებებზე თეთრებით თამაშზე ვაძაბვლებდი ყურადღებას, უამრავი სიახლე მიქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოვიყენე. ეს ალბათ გამოუცდლობის ბრალი იყო.

რა მოგვით ამ ჩემპიონატში?

ბევრი რამ. შემოქმედებითი თვალსაზრისით, პარტიების ზარისხით კმაყოფილი ვარ. ტურნირმა მაჩვენა, რომ ტექნიკურ მხარეს უნდა მივამოყდოთ ძირითადი ყურადღება. ეს კი მხოლოდ პრაქტიკით მიიღწევა. როგორც უმაღლესი ლიგის მოწაწილს, სულ ცოტა ორ საერთაშორისო ტურნირში მეჭულენის მონაწილეობის მიღება, მაგრამ ჯერ არც ერთი არ ჩანს. უმაღლესი ტურნირი... დეკემბერში იქნება — მსოფლიო თასის მეორე გათამაშების ერთ-ერთი შესაჩვევია ეტაპი ესპანეთში. მართალია, ნოემბერში I ლიგაში მიწვევდა თამაში,

მაგრამ დიდი ხნის გამო უარი ვთქვი.

ყველა ქართველი მოჭადრაკის სახელით ვამბობ, ნოუთ ასე ძნელი ჩვენთან მოგაწყობი XII ან XIII კატეგორიების ტურნირები მაინც არა მგონია, ფუფუნადი პრემიების დაწესება გავაჭირდეს, არადა, ჩვენთან ალბათ ყველა სიამოვნებით ჩამოვა.

ფიქრობ, რესპუბლიკის ქალაქის ფედერაციის ახალი შემადგენლობა გათვალისწინებს ჩვენი ვაჟების მოთხოვნას. ზუსტად ხომ არ არის რესპუბლიკაში ექვსი (I) დიდოსტატი ვაჟია და მათ უფროდ ეკუთვნის ერთი კრტიცადილილი ძლიერი ტურნირი მაინც.

სხვათა შორის, ეს საკითხი ბევრს აინტერესებს — თქვენ, თუ არ ვცდებით, სამჯერ უკვე შესრულეთ საერთაშორისო ოსტატის ნორმა. რატომ არ განიკებენ ამ ტიტულს?

სამჯერ კი არა, ოთხჯერ, მაგრამ საკავშირო სპორტსაქოში ვილა-ვილა ვიდეების უპასუხისმგებლობის გამო ვიდე-ში ჯერაც არ არის გავხანცილი ჩემი საბუთები.

ეტყობა, გარდაქმნა ამ სხე-როშიც ტატიც მიღის, ეტყობა, დღესაც ყველაფერს თვითონ უნდა ხდის კაცმა, სხვისი გასაკეთებელი საქმე ისევ შენ უნდა გააკეთო...

ეხე იგი, ოდესიდან სამი პარიზი დაბრუნებულია.

საერთო ჯამში ათას სამასი მანეთი მივიღე.

ცოტა თუ ბევრი?

— თქვენ როგორ გგონია?

ვახუშტის გ. გიორგაძე

გიორგი ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„...ეს მწვერვალია. მოწინავეებმა საფეხურების პირას თავი დააბრუნეს და პირდაპირ ზეგით აიბრუნეს...“
მაშ, მიხანო მიღწეულია... ას-რულდა... მრავალი წლის ოცნება. მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დავიკრძალა: ჩვენი... სისარულს საზღვარი არ ჰქონდა...
როგორ აღვწერო ადამიანის სუ-ლიერი მდგომარეობა მიუწვდომე-ლი მწვერვალის მიღწევის დროს. ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. ამაღლოდ დღის გაივლება, ვინც თვითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უმღეველი სიძლიერისა და სიამა-ყის გრძნობა მთელ არსებას იტ-აცება. ჩვენ კი ბევრი რამ გვაქვს საამაყო. მწვერვალზე თვრამეტე-ვართ... ასეთ ცუდ დროში, როგორ-მით ჩვენ ავედით, 18 კაცი კი არა, ჯერ ერთი არ ასულა... ჩვენი ას-ვლის დროს კი 20 მენაკამდე (გრა-

დუსამდე) იყო ყინვა და ამასთან საშინელი ქარიც... უმთავრეს სია-მაყეს ჩვენი დები წარმოადგენდნენ. ამდენი ქალი ჯერ იქ არასოდეს არ ასულა. ჩვენები ხუთნი არიან...
1923 წლის 28 აგვისტოს მყინ-ვარწვევზე თბილისის უნივერსი-ტეტელთა ასვლას ასე აღწერს ლა-შქრობის მეთაური გიორგი ნიკოლა-ძე.
ეს თარიღი საბჭოთა ალბინიზმის ისტორიის თავფურცლად ითვლე-ბა და გეამაყება, რომ მისი პირ-ველი სტრუქტურები ქართველმა მთა-მსვლელებმა, კერძოდ თბილისის უ-ნივერსიტეტელებმა ჩაწერეს.
მას შემდეგ უნივერსიტეტელებ-მა აღზარდეს ბევრი სახელგანთქმე-ლი მთამსვლელი, რომლებმაც მრავ-ალი მედალი მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატებში. თბილისის უნივერ-სიტეტის მთამსვლელობა სექციამ საქართველოში ალბინისტური კად-

რების აღზრდაში უპირველესი ცე-ნტრის ფუნქცია იკისრა. ამას აღა-სტურებს თუნდაც უკანასკნელი ათი წლის მონაცემები. მაგალითად, მთლიანად საქართველოში აღზრ-დილ სპორტისტი კლასის სპო-რტის ოსტატთა 100 პროცენტი უ-ნივერსიტეტელთა ანგარიშზე მოდის. სპორტის ოსტატებს, რაოდენობის 50 პროცენტი უნივერსიტეტელია. რე-სპუბლიკაში აღზრდილ დანარჩენ თანრიგისანთა 70-80 პროცენტაც თბილისის უნივერსიტეტის ანგარიშ-ზეა.
და ეს მაშინ, როცა უნივერსიტე-ტელთა ტრადიციული ალბინადე-ბისა და სპორტული ასვლებისთვის, ყოველწლიურად, მხოლოდ 6500 მა-ხეთი იზარჩებოდა, ხოლო მთლიან-ად რესპუბლიკაში ალბინიზმისა და მეკლდურობის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა 300 000 მანეთს აჭარბებდა.

უკანასკნელ წლებში საქართვე-ლოში ალბინიზმის განვითარების საქმე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, შეფერხდა. იმდენად შეფერხდა, რომ ჩვენს რესპუბლიკას საკავში-რო ჩემპიონატებში გუნდი ვეღარ გამოუყვანია.
და მაინც, ამ ფონზე უნივერსი-ტეტი სხვადასხვა თანრიგისანთა აღზრდის საქმეში კვლავ მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებს.
საქართველოში ალბინიზმის განვი-თარების საქმეში დამამედლებელ ძვრებს შეიმჩნევა, რაც ოპტიმისტთ განგვაწყობს.
ყოველივე ამან საუბარი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სა-ხელობის უნივერსიტეტში აქაურ მთამსვლელობა და მათ აქტივისტთა თავყრილობაზე.
ერთმანდ გადწყდა, რომ გაუქ-მდეს უნივერსიტეტის ალბინისტური

სექცია და მის ნაცვლად საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნას გი-ორგი ნიკოლაძის სახელობის ალბი-ური კლუბი. ითქვა და სიტყვა სა-ქმელ აქციეს!
უნივერსიტეტის მთამსვლელობა და მათ აქტივისტთა დამფუძნებელმა კრებამ კლუბის პრეზიდენტად ერ-თხმად აირჩია თბილისის უნივერსი-ტეტის პრორექტორი, პროფესორი ვახტანგ გოგუაძე.
მას ასე: 1989 წელი. 9 ოქტომბე-რი. თბილისის უნივერსიტეტის გი-ორგი ნიკოლაძის სახელობის ალბი-ური კლუბის დაბადების დღე. თბი-ლისის უნივერსიტეტის მთამსვლე-ლობის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვე-ლოვანესი ფურცელი.
ახალშექმნილ კლუბს დიდი მიზ-ნები და ამოცანები აქვს, ამანე კი მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ავთანდილ ხაშიშაძე.


ახალგაზრდობა სამართლიანად ბანსაჯს

საქართველოს ალკ ჩხორიწყუს რაიკომის პლენუმმა განიხილა სა-კითხი „ახალგაზრდობის ფართო სა-სივრცის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში აქტიური ჩაბმისა და მათი სამხედრო პატრიოტული და ინტერნაციონალისტური სულისკვე-თებით აღზრდის მიზნით რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების მი-ერ გაწეული მუშაობისა და მომა-ვალი ამოცანების შესახებ“.
პლენუმზე ჩხორიწყუს რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშა-ობის გასაუმჯობესებლად ახალგაზ-რდობა ცხარე კამათი გამართეს. დაუფარავად ითქვა არსებულ ნაკლო-ვანებზე. საქმიანობა ფორმალურ მიდგომაზე, რომელსაც იჩენდნენ რო-გორც პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, ისე წარმოებათა ხე-ლმძღვანელები, ინსტრუქტორ-მეთო-დისტები. ანალიზი გაუკეთდა ახა-ლგაზრდობის მიგრაციისა და სამ-ხედრო სამსახურიდან დემობილიზა-ციით დაბრუნებულთა დამატების საკითხებს. ნაკლოვანებების ერთ-ერთ მიზეზად სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაბალი დო-ნე მიიჩნიეს. ბევრ სოფელს არ გაა-ჩნია სათანადო სპორტული ბაზები, ხოლო არსებული მოთხოვნის შეკე-თებას. ყურადღება არ ექცევა მო-დერნიზაციის დატვირთვის, ფსიხიკა-ფუ-ფების გახსნას; სკოლებში ცუდად მუშაობენ სპორტული სექციები. თარის სასოფლო საბჭოს არა აქვს სპორტული ბაზა. სკოლის ხელმძღ-ვანელებმა ვერ გამოიყენეს საჭირო ადგილი ფეხბურთისა თუ ფრენბუ-რთის მოედნის მოსაწყობად. ლესი-კინის სპორტსკოლის მშენებლობა, დამკვეთი ორგანიზაციების თანხის უქონლობის გამო გაჩინებული მი-მდინარეობს.

კომკავშირის პირველადი და ფიზ-კულტურის ძირეული ორგანიზაციე-ბი შეთანხმებულად არ მოქმედებ-ნენ. ისინი სათანადო ზემოქმედებას ვერ ახდენენ ახალგაზრდობაზე და არ ზრუნავენ თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციაზე.
სამართლიანი შენიშვნა გამოით-ქვა სპორტსკოლის, სკოლის ფიზკუ-ლტურის მასწავლებელთა მისამარ-თით, რომლებსაც მეტი მუშაობა მა-რთებთ მოსწავლე-ახალგაზრდობას-თან. მართალია, სიჭაბუკის თასზე ჩხორიწყუს ნორჩმა ფეხბურთელებ-მა რესპუბლიკის პირველობაზე მე-სამე ადგილი დაიკავეს, მაგრამ ეს საკმარისი არ უნდა იყოს. აღმა-ვლობის გზას უნდა დაადგეს სპო-რტის სხვა სახეობები.
თუმცა რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისადმი მიდგომა რადიკალურად შეიცვალა, ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ წლებში, პერს-პექტიურ გეგმაშიც ბევრი რამ არ-ის ჩაწერილი, მაგრამ არსებული დო-ნე რაიონის პოტენციურ შესაძლე-ლობას მინიმალურადაც ვერ ასა-ხავს.
პლენუმის მონაწილეებმა შეიმუ-შავეს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმები, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს რაიონში ფიზკუ-ლტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას.

ნუგზარ მანია.
„ლელო“ საქ. კორ.

ჩხორიწყუ.



გუგისთის ხეობაში

მდინარე გუგისთის თვალწარმ-ტაც ხეობაში გამართულ აფხაზეთის ტურისტთა ტრადიციულ XXIV შე-კრება-შეჯიბრების მონაწილენი ერ-თმანეთს ტყეებში ბრუნდნენ რთული დაბრკოლებების გადალახვაში, კა-რგების გალაშქრებაში, ზურგჩანთების ჩა-წყობაში, კოცონზე სადილის მომ-ზადებაში და... სიმღერაში.
საერთო ჯამში ყველას აჯობა ან-ალი ათონის ტურისტთა გუნდმა. მეორე ადგილზე გავიდნენ გუდაუ-თელები, მესამეზე — ტურისტული სასტუმროს „სოხუმის“ წარმომადგე-ნლები.
ბორის სოკოლოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)



კრეპლი, 20-იანი წლები

(ნაწყვეტი
მოგონებაიდან)

წიგნი, რომლის ნაწყვეტსაც დღეს ვთავაზობთ „ლელოს“ მკი-თხველებს, ეკუთვნის ბორის ბაჟა-ნოვს (1900-1982), პირადად სტა-ლინისა და სკ ცკ-ის პოლიტიკე-ურის მდივანა 1923-1927 წლებ-ში. 1928 წლის 1 იანვარს ბ. ბაჟა-ნოვი თურქეთის საზღვრის გავლით წავიდა სამშობლო კავშირიდან და ცხოვრების ბოლომდე ანტიკომუნი-ტად დარჩა. ნაწყვეტი ამოღებულია წიგნიდან „სტალინის ყოფილი მი-ღვის მოგონებები“, რომლის საყუ-რანლო ვარიანტსაც ბეჭდვს „ოგო-ნიკი“ სათაურით „კრეპლი, 20-იანი წლები“.

როდესაც ჯერ კიდევ ორგბიუ-როს მდივანი ვიყავი, ვესწრებოდი საორგანიზაციო ბიუროს მიერ ფი-ზიკური კულტურის უმაღლესი სა-ბჭოსა და ამ დაწესებულების რიგი საერთო ღირებულების დამტკიცე-ბას. სწორედ მაშინ დაიწყო ამ უწყების მუშაობის უაზრობა, მაგ-რამ ჯერ კიდევ უმნიშვნელო ჰე-მიკი ვიყავი აპარატის მანქანაში სა-იმისოდ, რომ კრიტიკით გამოვსუ-ლიყავი.
ფიზიკური კულტურა აღიქმებო-და, როგორც რაღაც სასარგებლო რამ მშრომელთა მსახურის განმარ-თებისთვის, მათს გასაწვრთნელად, თითქმის აუცილებელი მისობრი-ვი, საჭაროდ ჩატარებული ხელე-

ბისა და ფეხების ქნევა, ასე ვთქვათ, კოლექტიური სვლა ჯანმრთელობი-სკენ. სწორედ ამის დანერგვას ცდი-ლობდნენ მუშათა ყოველწლიურ კლუ-ბებში, მშრომელებს თითქმის ძალით ყრიდნენ ამ დემონსტრაციებზე. ეს, რა თქმა უნდა, არავითარ ინტერესს არ იწვევდა და ისევე მოსწყენს სა-ქმელ ითვისებდა, როგორც პო-ლიტიკანთაგანის გაკეთებები, სა-იდახაც ყველა ცდილობდა თავის დაძვრენას. სპორტი კი, ამ „ფიზკუ-ლტურის“ თეორიტიკოსების იდეით, განიხილებოდა როგორც ბურჟუა-ზიული კულტურის ავადმყოფური გადმონაშთი, რომელიც ავითარებ-და ინდივიდუალიზმს და, აქედან გამომდინარე, ეწინააღმდეგებოდა პროლეტარული კულტურის კო-ლექტივისტური პრინციპებს. ერთი სიტყვით, ფიზკულტურა ერთობ მო-საწყენი საქმე გახლდათ, მისი უმაღლესი საბჭო კი — ყოვლად უმაქნისი ორგანო.
მას შემდეგ, რაც პოლიტიკურის მდივანი გავხდი, ერთხელ სტალინს ვუთხარი, რომ „ფიზკულტურა“ — ეს არის სისულელე, რომელიც არ-ავითარ ინტერესს არ იწვევს მშრო-მელებში, რომ საჭიროა განვითარ-დეს სპორტი, შევჩერებები, რითაც აუცილებლად დაინტერესდებიან მშრომელი მასები. უმაღლეს საბ-ჭოში წევრად შედის ცკ-ის წარ-მომადგენელი — აგიტპროპის გა-მგე, რომელიც ერთხელაც არ გა-მოჩინებია იქ, იქის რა ამ დაწვე-ბულების უაზრობა. დამინებეთ ცკ-ის წარმომადგენლად და შემოვარდია-

ლზე ფიზკულტურის სპორტისკენ. ამას გავატარებ, როგორც ცენ-რალური კომიტეტის ხაზს. სტალინი დამეთანხმა. იგი ყოველთვის მე-თანხმობდა იმ საკითხებში, რომ-ლებიც აბსოლუტურად არ აინტე-რესებდა.
დებულების თანხმად, უმაღლესი საბჭო შედგებოდა ძალზე ბევრი უწყების წარმომადგენლებისგან. სხვათა შორის, უმაღლესი საბჭოს წევრი იყო იაგოდაც, როგორც სა-ხელმწიფო პოლიტიკური სამმარ-თლოს წარმომადგენელი. სამუშაოს წარმართავედა უმაღლესი საბჭოს პრე-ზიდიუმში, რომელიც ხუთი კაცისგან შედგებოდა. თავმჯდომარე იყო ჯა-ნმრთელთა დაცვის მთავარი კო-მისარის სემაშკო, მთადილე — სამ-ხედრო უწყების წარმომადგენელი მეზონოშინი; პრეზიდიუმის სამი წევრი — მე, როგორც პარტიის ცკ-ის წარმომადგენელი, კომკავშირის ცკ-ის წარმომადგენელი, ახალგაზრდა ლექტორი იტინი და პროფკავშირე-ბის წარმომადგენელი სენიუშკინი.
მოვიყვით უმაღლესი საბჭოს პლენუმში და გავაცეთი მოხსენება საბჭოს პოლიტიკის შეცვლის თა-ობაზე — სპორტის განვითარება და ამასთან დაკავშირებით მშრო-მელთა მასების დაინტერესება. და-საწყისისთვის საჭირო იყო ალგე-ბრება რევოლუციის მიერ დანე-რგული და დაზარალებული სპო-რტული ორგანიზაციები, შეგვეჩ-რება გაყრილი სპორტსმენები და გამოგვეყვანინა ისინი, როგორც ინსტრუქტორები და სპორტული

მრღველების სულისჩამდგმელები. შემდეგ საქმეში უნდა ჩაგვემა-შრომელთა მასები.
ამის წინააღმდეგ მაშინვე გამო-ვიდა იაგოდა. რევოლუციამდელ სპო-რტში დაკავებული იყვნენ, ძირი-თადად, ბურჟუაზიული კლასის წა-რმომადგენლები, ყველა სპორტუ-ლი ორგანიზაცია იყო და იქნება კო-ნტრარევოლუციონერთა თავშესა-რის ადგილი; მათთვის შეკრებისა და გაერთიანების უფლებას პიციმა სა-ხიფათოა; და საერთოდ, ყოველგვ-არი სპორტი ეწინააღმდეგება კოლმ-ქტივისტურ პრინციპებს.
მე არ ვთმობდი პოზიციებს. აღ-ვნიშნავდი, რომ ახალი ხაზი, რომე-ლსაც გვისახავს ცენტრალური კო-მიტეტი, ეყრდნობა შეჯიბრების პრინციპს, ურთმლისოდაც შეუძლე-ბელია ინტერესი გაუღვიძო და საქმეში ჩააბა მშრომელები. რაც შეეხება ძველ სპორტსმენებს, მა-თი პოლიტიკური ტენდენციები ამ-ჯერად არც ისე საინტერესოა — ვერც ფეხბურთში და ვერც 100 მეტრზე რბენაში ვერავითარ კონ-ტრარევოლუციას ვერ ვაღვიძებ. გა-რდა ამისა, პარტიის პოლიტიკა ყო-ველთვის მიმართული იყო სპეც-ალისტების გამოყენების მიზნით: ინჟი-ნერებისა და ტექნიკური სპეციალის-ტების აბსოლუტურ უმრავლესობა ბურჟუაზიული კლასის წარმომად-გენლები შეადგენენ, მაგრამ, ანი-სდა მიუხედავად, ისინი ფართოდ გამოიყენებინა სახალხო მეურნეო-ბაში. წითელი არმია შეიქმნა და „შეძლო გამარჯვება მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ჩარიცხეს და გამოიყენეს

